

შპს ჯორჯიან გოლდ კოპანი

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

შპს ჯორჯიან გოლდ კომპანი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის

აქტივები	შენიშვნები	2022 ლარი	2021 ლარი
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები		9,042	9,844
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1	7,079,135	4,621,962
სხვა აქტივები			0
მარაგები		-	
სულ მიმდინარე აქტივები		7,088,177	4,631,806
გრძელვადიანი აქტივები			
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში			
არამატერიალური აქტივები	2	8,573,181	9,033,422
სამთო ქონება			
გადავადებული საგადასახადო აქტივი			
სულ გრძელვადიანი აქტივები		8,573,181	9,033,422
სულ აქტივები		15,661,358	13,665,228
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	3	2,107,551	977,535
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		87,342	78,480
ვალდებულება თანამშრომელთა მიმართ			
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,194,893	1,056,015
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	4	11,038,170	11,038,170
გაუნაწილებელი მოგება		2,428,295	0
სულ კაპიტალი		13,466,465	11,038,170
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		15,661,358	12,094,185

შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის

	შენიშვნები	2022 ლარი	2021 ლარი
სხვა შემოსავალი	5	5,850,777	3,404,202
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	6	- 4,501,811	-1,807,812
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამრჯელოები		- 30,443	- 33,647
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	7	- 461,271	- 460,239
სხვა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი		-	-
საოპერაციო საქმიანობის შედეგი		857,252	1,102,504
გაუფასურების ზარალი ფინანსურ აქტივებზე			
ფინანსური შემოსავალი		-	-
ფინანსური ხარჯი		-	-
წმინდა ფინანსური შემოსავალი/ხარჯი		0	0
მოგება/ზარალი გადასახადამდე		857,252	1,102,504
წლის მოგება/ზარალი		857,252	1,102,504

გენერალური დირექტორი
ჯონდო შუბითიძე

ბუღალტერი
მაია წინუა

შპს ჯორჯიან გოლდ კომპანი

2023 წლის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნები	2023 ლარი	2022 ლარი
ნეტო ამონაგები			
საქონლის გაყიდვიდან			
მომსახურების გაწევიდან			
სხვა			
გაყიდვების			
თვითღირებულება			
საწყისი მარაგები			
მარაგების შესყიდვა და გადამუშავების დანახარჯები			
საბოლოო მარაგები			
საერთო მოგება			
სხვა საოპერაციო შემოსავალი	5	6,543,283	5,850,777
დასაქმებულთა ანაზღაურება			
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	6	(502,486)	(461,271)
საპროცენტო შემოსავალი (ხარჯი)			
იჯარის ხარჯი			
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	7	(4,888,198)	(4,532,254)
სულ საოპერაციო ხარჯები			
საოპერაციო მოგება		1,152,599	857,252

გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:

ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა

მიღებული დივიდენდები

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)

მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე

1,152,599 857,252

მოგების გადასახადის ხარჯი

საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი

1,152,599 857,252

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:

მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)

1,152,599 857,252

საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში

13,466,465 12,609,213

კაპიტალის გაზრდა

განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)

სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში

კაპიტალის სხვა

ცვლილებები

4

319,595

0

საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს

14,938,659

13,466,465

გენერალური დირექტორი
ჯონდო შუბითიძე



ბუღალტერი
მაია ნინუა

შპს ჯორჯიან გოლდ კომპანი
2022 წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	შენიშვნა	2022 ლარი	2021 ლარი
წლის მოგება		857,252	1,102,504
კორექტირებები:			
საპროცენტო ხარჯი			
ცვეთა და ამორტიზაცია		461,271	460,239
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა უცხოურ ვალუტაში ოპერ. მიღებული მოგება/(ზარალი)			
საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილება:			
ცვლილება მარაგებში			
ცვლილება დებიტორულ დავალიანებაში		(2,458,204)	(2,594,598)
ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში		8,862	55,849
ცვლილება კრედიტორულ დავალიანებაში		1,130,017	975,020
ცვლილება საიაჯარო ვალდებულებებში			
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		(802)	(986)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		(802)	(986)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა			
ძირითადი საშუალებების გასვლა			
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		-	-
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სასესხო ვალდებულებების მიღება/გადახდა			
საწესდებო კაპიტალის შევსება			
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		-	-
ნაშთი წლის დასაწყისში		9,844	10,830
წმინდა ზრდა/(კლება) წლის განმავლობაში		(802)	(986)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		9,042	9,844

შპს ჯორჯიან გოლდ კომპანის სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ზოგადი ინფორმაცია

შპს ჯორჯიან გოლდ კომპანი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია, საქართველოში, ქ. თბილისში, ალექსიძის 1. კომპანიის საქმიანობის ძირითადი ადგილი არის თეთრიწყაროს რაიონი. მისი ძირითადი საქმიანობაა ფერადი ლითონების მადნების მოპოვება. კომპანია დაარსდა 2017 წელს შპს კავკასიის სამთო ჯგუფის მიერ შპს ჯორჯიან გოლდ კომპანის საწესდებო კაპიტალში ლიცენზიის და გეოლოგიური ინფორმაციის შეტანით. შპს კავკასიის სამთო ჯგუფი ფლობს შპს ჯორჯიან გოლდ კომპანის 100%.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულებში ლარი.

ამონაგების აღიარება

კომპანიამ საკუთარი მოპოვების ლიცენზია იჯარით გადასცა დაკავშირებულ კომპანიაზე. კომპანია აღიარებს შემოსავალში იჯარის საფასურს.

მოგების გადასახადი

ქვეყანაში მოქმედებს მოგების გაანგარიშების ე.წ. ესტონური მოდელი, რომლის მიხედვითაც გადასახადის დაკავება ხდება კომპანიიდან ფულადი სახსრების გაცემის მომენტში, შესაბამისად გადავადებული მოგების გაანგარიშება არ ხდება.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს კაპიტალში შეტანილი ლიცენზიის და გეოლოგიური ინფორმაციის ღირებულებას. არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია ხდება წრფივი მეთოდით, საბადოს მარაგების ამოწურვის პერიოდით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და სამთო ქონების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი

იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ.

დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „პირველი შემოსავალში-პირველი გასავალში“ („ფიფო“) მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღიარებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თა-რიდისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

შენიშვნები და კომენტარები

1 სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები წარმოადგენს კომპანიის კუთვნილი ლიცენზიის იჯარიდან მისაღებ თანხებს. ლიცენზია გაცემულია იჯარით დაკავშირებულ პირზე შპს არ ემ ჯი გოლდზე.

2 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს კაპიტალში შეტანილი ლიცენზიის და გეოლოგიური ინფორმაციის ღირებულებას. არამატერიალურ აქტივებს ერიცხება ამორტიზაცია წრფივი მეთოდით.

3. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის მოსაკრებელზე და სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობისთვის რეგულირების გადასახადზე დავალიანებას.

4. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის შევსება მოხდა 2017 წელს, , შპს კავკასიის სამთო ჯგუფის მიერ.

5. სხვა საოპერაციო შემოსავალი

სხვა საოპერაციო შემოსავლად კომპანიამ აღიარა შემოსავალი ლიცენზიის იჯარიდან, შპს არ ემ ჯი გოლდიდან.

6. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი მოიცავს საოპერაციო ხარჯებისაგან რაც წარმოადგენს ძირითადად რესურსების და რეგულირების გადასახადებზე ხარჯს.

7. ცვეთა და ამორტიზაცია

ცვეთა და ამორტიზაცია წარმოადგენს არამატერიალური აქტივების ამორტიზაციას. ამორტიზაცია ხდება წრფივი მეთოდით ლიცენზიით სარგებლობის ბოლო ვადამდე.